პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 6 იანვარი 1990 წელი ● № 2 (2879) ● СУББОТА, 6 ЯНВАРЯ 1990 г.

## კიდევ უფრო ალორძინდი საქართველო...



ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

## დროით ნაკარნახევი ინიციატივა

**იმ პრობლემებსა** და სიძნელეებს შორის, რომელთაც ჩვენი განახლების გზაზე მდგარი სახელმწიფო და საზოგადოება აწყდება, ალბათ ყველაზე რთული და მწვავე დამნაშავეობის ზრდაა. ექსტრემისტული გამოხტომები აფხაზეთში, ამასწინდელი ექსცესები ქვემო ქართლში. დაძაბული სიტუაცია — ეს ყველაფერი ერთად აღებული ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის დამნაშავე და კორუმპირებულ ელემენტებს თავიანთი ბოროტი ზრახვების განხორციელებაში. მატულობს ისეთ საშიშ დანაშაულთა რიცხვი, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. სარგებლობენ რა დაძაბული ვითარებით, ბოროტმოქმედნი საგრძნობლად გააქტიურდნენ.

ასეთი ელემენტებისათვის არ არსებობს არაფერი წმინდა. ისინი არც ეროვნულ იდეალებს დაგიდევენ რამედ, და არც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები აღელვებთ, მზად არიან ყოველნაირი დანაშაული ჩაიდინონ. სწორედ ამის გამო იზრდება დანაშაულთა რიცხვი მიტინგების, დემონსტრაციების და სხვა მასობრივი აქციების დროს.

დანაშაულის ზრდის ტენდენცია საშინლად შემაშფოთებელი იქნებოდა, რომ არა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გატარებული ქმედითი და გადამჭრელი ღონისძიებები. ჩვენი ქართული მილიცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ცრემლი დაიღვაროს, რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა ნახოს სიმწარე. დღე და ღამე ერთია მილიციის მუშაკთათვის. სისხამ დილას, შუადღეს თუ გვიან ღამით ისინი თავის საგუშაგოზე დგანან და ვაჟკაცურად ეწევიან საოცრად მძიმე, სახიფათო და მომქანცველი სამსახურის ჰაპანს. სამსახურის, რომელსაც არა აქვს დასვენება და სადღესასწაულო დღეები, სამსახურის, რომელშიც უსაფრთხო ცხოვრება არაფრით არ არის გარანტირებული.

ერთი შეხედვით, ასეთ სამსახურს ყოველგვარი ხელშეწყობა და დახმარება უნდა ჰქონდეს როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ გაუმართავ და ძველ მანქანებს, ლიმიტირებულ საწვავს, მილიციის შენობების ავარიულ მდგომარეობას, მილიციის მუშაკთა შრომის დაბალ ანაზღაურებას, საყოფაცხოვრებო პირობების დაბალ დონეს, მილიციისადმი საზოგადოების ინერტულ დამოკიდებულებას. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებით როდი მთავრდება იმ საჭირბოროტო საკითხთა ნუსხა, რაც მილიციის თანამშრომლებს აწუხებთ. როგორც ვხედავთ, პრობლემები ბევრია და რაც უფრო დროულად გადაიჭრება ისინი, მით უკეთესი იქნება არა მარტო მილიციისათვის, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

**დღეს, როდესაც რესპუბლიკაში ასეთი რთული და დაძაბული ოპე-**

(დასასრული მე-8 გვ.).

### საახალწლო მილოცვები

**გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქტორს**

**ნება** მიბოძეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით კოლხეთის უძველესი ქალაქი ფოთის სახანძრო დაცვის გარნიზონის სახელით ახალი წელი მივულოცო საქართველოს მეხანძრეთა გვარდიას ჯუმბერ სურმავას მეთაურობით.

ვუსურვებ მათ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და უმრეტ ენერგიას სამშობლოსათვის სამსახურში.

პატივისცემით **ლევთერ ჭოჭუა**

ქ. ფოთი.

**გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქტორს**

**პირადად** თქვენ და გაზეთის ყველა თანამშრომელს გილოცავთ ახალ 1990 წელს, დაესწარით მრავალს. ახალ წელს თქვენი ოჯახისათვის გამარჯვება, სიხარული წარმატებები მოეტანოს.

ახლა კი ჩემი მოკლე წერილი.

**მიმდინარე** წლის ივნისის თვეში გავეტარე საექიმო კომისიაზე და მომცეს III ჯგ. ინვალიდობა. ყველა საბუთები წარვუდგინე შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსს, მილიციის პოლკოვნიკს ზ. ტაბიძეს, მან იმავე დღესვე ჩემი საბუთები გააგზავნა საქ. სსრ შსს საფინანსო-საგეგმო განყოფილებაში. არ გასულა ერთი კვირა, მე გამომიგზავნეს მოწმობა. ძალიან კმაყოფილი ვიყავი ამხ. ვალერი ერემეს ძე დუშევინის და იური ნიკოლოზის ძე მუზაშვილის. მე მათ სამადლობელი წერილი გავუგზავნე.

წავიკითხე მინისტრთა საბჭოს დადგენილება (21.08.89 წ. № 673) მასზედ, რომ მე უნდა მომემატოს პენსია. საფინანსო განყოფილება არ შემიწუხებია, ვიცოდი, რომ ისინი გულწრფელი ადამიანები არიან და აი მ/წლის 21 დეკემბერს მივიღე წერილი ამხ. ვ. დუშევინის და ი. მუზაშვილის ხელმოწერით, რომელშიც მაცნობებდნენ პენსიის მომატებას. ახლა პენსია მაქვს 228 მან. და 75 კაპ. 15 მანეთის მომატება იმდენად არ გამხარებია, რაც ვ. დუშევინის და ი. მუზაშვილის კაი კაცობა, ადამიანობა გამიხარდა. ასეთმა ადამიანებმა, ჩეკისტებმა იმრავლოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩემი შვილი გრიგოლიც ჩემს კვალს გაჰყვა, ფოთის შს საქალაქო განყოფილებაში მუშაობს, სწავლას აპირებს მილიციის სკოლაში.

მე მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გამოვუცხადო ზეიმი კონსტანტინეს ძე ტაბიძეს, ვალერი ერემეს ძე დუშევინს და იური ნიკოლოზის ძე მუზაშვილს სიონალ ფოტორეპორტიორებს, ფოჩემდამი ყურადღებისა და გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

**შრომის ვეტერანი, სამამულო ომის მონაწილე III ჯგ. ინვალიდი შ/ს თადარიგის მაიორი, პენსიონერი ნოე გრიგოლის ძე ხურცია.**

### ანონსი

**ჩვენი** გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ შემდეგ მასალებს:

**რეპორტაჟი ცხინვალიდან**

**წერილი აფარაძეების ოჯახურ დინასტიაზე**

**სიახლე შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობაში**

**ყაჩაღური თავდასხმა აბაშაში**

**საახალწლო შეხვედრა „ვერიკონში"**

**ჩვენმა გაზეთმა გასულ წელს რამდენიმე პუბლიკაცია დაუთმო შს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობის პირთა არჩევის საკითხებს, თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა რამდენიმე თანამშრომელმა. რედაქცია ახლაც ღებულობს წერილებს ამ თემაზე.**

### კოლექტივის აზრის გათვალისწინებით

**ახლახან** გაიმართა ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობის საერთო კრება.

კრებას ესწრებოდა სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების მთელი პირადი შემადგენლობა. კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქ. კპ ზესტაფონის რაიკომის ინსტრუქტორი თ. ფერაძე, რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლ. ბიწაძე, შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ა. არევაძე, რაიგანყოფილების კადრების და საბრძოლო-სამსახურებრივი მომზადების უფროსი ინსპექტორი ო. ლონლაძე. დღის წესრიგში იყო სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილებაში არსებული საგზაო-საპატრულო სამსახურის ვაკანტურ ადგილზე რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული კანდიდატურის არჩევის საკითხი, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლ. ბიწაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შს რაიგანყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილებაში გაჩნდა ვაკანსია იმის გამო, რომ საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორი ზ. მაღლაკელიძე ავად გახდა და მას ფიზიკურად არ შეუძლია იმუშაოს აღნიშნულ თანამდებობაზე. საქ. სსრ შს მინისტრის 1987 წლის 1 ოქტომბრის № 2/1-2316 წერილის თანახმად საგზაო-საპატრულო სამსახურის რიგითი შემადგენლობის შევსება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სახავტოინსპექციის სამმართველოს მიერ ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული პირებით. ასეთები კი ამჟამად რაიგანყოფილებაში აღრიცხვაზეა 2 მოქალაქე. ესენი არიან: ამირან ანგუსის ძე დათიაშვილი ზესტაფონის რაიონის სოფ. კვალითში მცხ. და გელა ფრიდონის ძე ალხაზიშვილი, მცხ. ქ. ზესტაფონში. აქვე კრებას გაეცნო ორივე კანდიდატურის პირადი საქმეები და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ა. დათიაშვილმა და გ. ალხაზიშვილმა. კერძოდ, ა. დათიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტოინსპექციაში მუშაობა მისი დიდი ხნის ოცნება იყო, პროფესიაც ისეთი აირჩია, რომ, კიდევ უფრო დაკავშირებოდა და ახლოს ყოფილიყო ტრანსპორტთან. შემდეგ მიეცა საშუალება, რომ მონაწილეობა მიეღო კონკურსში, სადაც გაიმარჯვა. მან ყურადღება გაამახვილა, რომ იგი უკვე 28 წლის ასაკის სრულდება და 1 წლის შემდეგ მას უფლება არ ექნება მილიციაში მუშაობის დაწყებისა და ითხოვა, რომ კენჭის ყრის დროს გაეთვალისწინებიათ ეს. მანვე წინადადება შემოიტანა არჩევნები მომხდარიყო ღია კენჭისყრით.

გ. ალხაზიშვილმაც ავტოინსპექციაში მუშაობის დიდი სურვილი გამოთქვა და აღუთქვა კრებას, რომ იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრა მის სასარგებლოდ გადაწყდება ძალ-ღონეს არ დაიშურებდა და იქნებოდა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე. ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა გ. ალხაზიშვილმა, რომელსაც რეკომენდაცია გაეწია საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორის ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად.

# და მაინც, ვინ არის ვინ?

**პატივცემულო რედაქტორო!** გიგზავნით პასუხს თქვენი გაზეთის ა. წ. 12 ნოემბრის მეორე ნომერში ჩემს შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე „პოლიტსამმართველოს უფროსი", ვიმედოვნებ, რომ იგი „საქართველოს" უახლოეს ნომერში დაიბეჭდება ცვლილებისა და კომენტარების გარეშე, რათა მკითხველმა თვითონ შეაფასოს მისი არსი.

თუ რედაქცია. ჩათვლის საჭიროდ გააგრძელოს საუბარი ამ თემაზე, მზად ვართ გავაცნოთ ჩვენს ხელში არსებული ყველა მასალა.

განყოფილების უფროსი
ა. ანქვაბი

**რედაქციისაგან:** წერილს ვბეჭდავთ ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

**გამოგიტყდებით,** არასოდეს მიმიკუთვნებია საკუთარი თავი საჯაროდ გამოსვლის ოსტატთათვის. მიუხედავად ამისა, ანგარიშგასაწევ გარემოებათა მთელი წყება მაიძულებს ამ სახის წერილით მივმართო გაზეთ „საქართველოს" რედაქციას.

უპირველესად თვით გაზეთმა მიკარნახა ამის აუცილებლობა, გამოაქვეყნა რა ა. წ. 12 ნოემბერს, მეორე ნომერში ჩემი, ასე ვთქვათ სამსახურეობრივი პორტრეტი არც თუ ორაზროვანი რუბრიკით „ვინ არის ვინ", რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოების ერთ-ერთი ყოფილი მუშაკის ნაღველ და ბალღამგარეულ მხილებას, უფრო სწორად მის მიერ შეთითხნილ სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს ეფუძნება, რომლითაც მას არაერთხელ მიუმართავს სხვადასხვა ინსტანციებისათვის. ვფიქრობ, რომ ჩემის მხრიდან ზედმეტი მოკრძალების გამო ამ ფაქტის წაყრუება არასწორად იქნება შეფასებული და ამდენად სავსებით უადგილოდ მიმაჩნია.

უნდა აღვნიშნო, რომ ამგვარი მწვავე და „მამხილებელი" პუბლიკაციისათვის დიდის სიფრთხილითა და საკმაოდ მოხერხებულად შერჩეული ფორმა — „წერილი რედაქციას" — რამდენადმე აძნელებს უშუალოდ მათთან კამათს, ვინც იგი გამოსაქვეყნებლად მოამზადა. თვით წერილის ავტორთან, ვინმე ჩიქოვანთან კამათის გამართვა კი სრულიად უაზროდ მესახება. მის მიერ მოშველიებული ცნობები იმდენად უსაფუძვლოა, რომ წერილის ავტორთან დავა მხოლოდ ჩრდილს მოგვაყენებდა მეც და სხვებსაც იმათ თვალში, ვინც ახლოს იცნობს ჩიქოვანს, ან უმუშავნია მასთან ერთად და ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მის პიროვნებაში. არც ჩიქოვანსა და ოტიირბას, არც ქარდავას და ცვეიბას, რომლებიც ერთობლივად თხზავდნენ ცილისმწამებლურ საჩივრებს ჩემზე და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა ხელმძღვანელებზე, არ გააჩნიათ იმის მორალური უფლება, რომ იქადაგონ საზოგადოების სახელით, მითუმეტეს, ისინი არასოდეს ამშვენებდნენ ქართველ და აფხაზ ერებს.

ვერ გეტყვით რომელი და რა გზით „მოპოვებული" საბუთების ასლები წარუდგინა ჩიქოვანმა „საქართველოს" რედაქციას, თუმცა კოლეგებზე „დოსიეს" შედგენის მისი მდიდარი გამოცდილება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემზე შეთხზული მისი საჩივრები შვიდმა კომისიამ შეამოწმა და შვიდივე ერთ დასკვნამდე მივიდა. ეს მასალები ინახება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში და სავსებით ხელმისაწვდომი გახლავთ. ასე რომ, როგორც გაზეთ „საქართველოს", ასევე სხვა ბეჭდვითი ორგანოს ნებისმიერ თანამშრომელს საშუალება აქვს დაწვრილებით გაეცნოს ამ მასალებს, ობიექტური დასკვნა გააკეთოს დამოუკიდებლად და არა ორგანოებიდან დათხოვნილი გამძვინვარებული ადამიანის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა ნდობა. თავის დროზე ხომ სწორედ ასე მოიქცა გაზეთი „ზარია ვოსტოკა", რომელმაც 1988 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა წერილი რუბრიკით (განა მართლა ბედის. ირონია არ გახლავთ?!) „ვინ არის ვინ". ჩემი მხრიდან გაუმართლებლად მიმაჩნია კიდევ რაიმე მოგახსენოთ ამ საკითხზე და თავს მოგახვიოთ საკუთარი აზრი, მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს პირადად მე მეხება.

ამავე დროს, ის შეუპოვრობა, რასაც „საქართველოს" რედაქცია იჩენს დემოკრატიზაციისა და საჯაროობით ბოძებული სიკეთის გამოყენების საქმეში, ალმავსებს იმის რწმენით, რომ გაზეთის გვერდებზე აისახება ჩემი მოკრძალებული ნააზრევი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი ორგანოს პოზიციის თაობაზე.

ჩემი აზრით, უპირველესად ობიექტურ მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ხვდებოდეს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში თვით მცნება „საჯაროობა" არც თუ იშვიათად აღიქმება პირდაპირი გაგებით ცალმხრივად, ე. ი. მიმართული მხოლოდ ერთ მხარეს — ხელმძღვანელების და ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ. არ მსურს წრესგადასული ორთოდოქსის სახელი გამივარდეს: დიახ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამაში არის თავისი კანონზომიერება, რადგან ხელისუფლების დღემდე არსებული ინსტიტუტები ათეული წლების განმავლობაში უბოდიშოდ ნერგავდნენ საკუთარი სიტყვისა და აზრის აბსოლუტურ მონოპოლიას და ჩვენ კარგად ვხედავთ სად მიგვიყვანა ყოველივე ამან. მაგრამ არანაკლებ საშიშია საპასუხო ტენდენცია, რომელიც გაყალბებული მედალიონის მეორე მხარედ წარმოგვიდგება. სწორედ ამიტომ მოითხოვს საჯაროობა ჭეშმარიტ პლურალიზმს.

სწორედ ოპონენტის პოზიციაში გარკვევა და მისი პატივისცემა გახლავთ დემოკრატიული პრინციპების დედაარსი. სიმართლე რომ გითხრათ, მე არ ძალმიძს გავიზიარო მრავალი მოსაზრება, რომელსაც „საქართველო" და სხვა გამოცემები აწვდიან მკითხველს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ვამჩნევ აზრთა არაორდინალურ შემობრუნებას, მრავალი საკითხის ახალი რაკურსით წარმოჩენას, ვესწრაფვი გავიზიარო ნებისმიერი შეხედულება და ასეთივე დამოკიდებულების იმედი მაქვს სხვებისაგან ჩემს მიმართაც.

ნებისმიერი დარგის ხელმძღვანელს, მით უმეტეს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელს, თუ ეგი ცდილობს დაიკავოს აქტიური პოზიცია, ადრე თუ გვიან თავს დაატყდება ხოლმე საჩივრებისა და განცხადებების ნიაღვარი. ისინი ხშირად გარეგნულად დამაჯერებლად გამოიყურებიან, ასახავენ მომჩივანთა გულისტკივილს, მაგრამ საფუძვლიანი შემოწმებების შემდეგ უმეტეს შემთხვევაში არაფერი დასტურდება, მომჩივანის ემოციები კი აღმოჩნდება მოჩვენებითი, გაანგარიშებული გულჩვილ, მიმნდობ მკითხველზე. აქედან გამომდინარე, ნუთუ დასაშვებია სარწმუნო წყაროდ მივიჩნიოთ ერთ-ერთი ასეთი განცხადება და მყისვე მკითხველთა სამსჯავროზე წარმოვადგინოთ იგი? ეს ან სრული უპასუხისმგებლობაა, ანდა ნაცადი ხერხი ჩრდილი მიაყენონ ნებისმიერ პიროვნებას და პირველ რიგში იმას, რომელიც არც თუ სასურველი გახლავთ მავანთათვის. პირადად მე ასე მგონია და ეჭვი არ მეპარება, დემოკრატიისა და საჯაროობის ერთგული ნებისმიერი რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივიც დამეთანხმება, რომ მუშაობის ამგვარი სტილი და მეთოდები შორს დგანან ჭეშმარიტად დემოკრატიული პრინციპებისაგან. საჯაროობის სამარჯვით უაღრესად ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, დავიცვათ თავისებური უსაფრთხოების ტექნიკა, რომელიც ადამიანების ღირსების დაცვის გარანტიას იძლევა, თავიდან აცილებს მათ დაუმსახურებელ შეურაცხყოფასა და ყალბი იარლიყების მიწებებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მყისვე ჩავიძირებით სუბიექტივიზმის, ტენდენციურობის, ანგარიშსწორების ჭაობში, რაც ყოველ წამს შეიძლება გადაიზარდოს დაუფარავ დევნა-შევიწროვებაში.

ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, შევეჩეხე ამდაგვარ გამოვლინებებს. მეთოდი მეტად მარტივია: მიტინგზე გაისმა უსამართლო გამოხდომა; გაიჟონა დაუჯერებელი ჭორი; რამოდენიმე გაზეთში, თითქოსდა შემთხვევით, დაიბეჭდა პროვოკაციული ფრაზა... და აი, უკვე შეკრებილი ცალკეული დეტალებისა და წვრილმანების, შეცდომებისა და გაზვიადებებისაგან ყალიბდება პიროვნების დამახინჯებული სახე. ზოგჯერ მე მომაწერენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში განუსაზღვრელ, თითქმის უზურპირებულ ძალაუფლებას. თითქოსდა ძალმიძს ვითამაშო ადამიანების ბედით, მსურს საბოლოოდ განვდევნო სამინისტროს კედლებს გარეთ საქმის ქართულად წარმოება და ა. შ. გარდა ამისა, რომ ყოველივე ზემოთქმული აბსოლუტური სიცრუეა, მიმაჩნია, რომ საკითხის ამგვარად დაყენება აკნინებს და შეურაცხყოფს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, მის კოლეგიას.

ზოგჯერ მე, როგორც ეროვნებით აფხაზს, „მავალებენ" ქალაქ თბილისში მოწყობილი საქართველო-აფხაზეთის მეგობრობის მშვიდობიანი მიტინგის დარბევას. ძნელი სათქმელია თუ რა იგულისხმება ამ შემთხვევაში მეგობრობის მცნებაში, უფრო ადვილი გასაგებია რატომ გახდა საჭირო მაინც და მაინც ჩემი გამოყოფა სხვა თანამშრომლებიდან, თანაც ამგვარი აქციის ხელმძღვანელის როლის მიკუთვნება. საერთოდ, მილიცია მოწოდებულია თავისი სამსახურეობრივი და მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოს არა ეროვნული მიკუთვნების მიხედვით, რადგან ამან შეიძლება ნამდვილ ტრაგედიამდე მიგვიყვანოს. ამ შემთხვევაში ჩემი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის, მოვალეობაა, უაღრესად პრინციპული შეფასება მიეცეს ამგვარ გამოვლინებებს.

ან განზრახ მახინჯდება ფაქტები, რომლის მიხედვითაც მე ლამის ბრალი მედება აფხაზეთის მოვლენებში, რომელთა სიმწარე და გულისტკივილი მწვავედ განვიცადე ქართველი და აფხაზი ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად. საამისო საბაბი გახდა ის, რომ ამ მოვლენებამდე ოდნავ ადრე, როგორც იქნა, გავედი მორიგ შვებულებაში, რაც ზოგიერთისათვის სრულიად საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ხელაღებით დავედანაშაულებინე და თანაც ვემხილებინე „მოსკოვთან კავშირში". „მოსკოვის ხელი", „ბერლინის ხელი", „ლონდონის ხელი"... რაღაცით ხომ არ გაგონებთ ეს ჩვენი არც თუ ისე შორეული ისტორიის სევდიან ფურცლებს.

კიდევ ერთი მცირე ბიძგი, ერთი სინამდვილეს შეუფერებელი შტრიხი და აი უკვე მე და თბილისში მომუშავე ჩემი თვისტომები აღმოვჩნდით, როგორც „საქართველოს" ა. წ. 22 ნოემბრის მესამე ნომერში ითქვა, „საქართველოს სსრ ხელმძღვანელობაში კვლავაც მოკალათებულ ანტიქართველების" რიცხვში. ტერმინიც და ბრალდებაც იმდენად აბსურდული და შეურაცხმყოფელია, რომ არ შემიძლია მათი უპასუხოდ დატოვება და ამიტომაც ვრცლად მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი პოზიცია. მე დიდ პატივს ვცემ ყველა ხალხის, პირველ რიგში კი ქართველების წარმომადგენლებს, იმ ხალხისა, ვისთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული აფხაზი ხალხის ბედი. ქართველებს შორის მე უამრავი ამხანაგი, ერთგული მეგობარი, კოლეგა და თანამებრძოლი მეგულება, ბევრი მათგანი ჩემთვის ძალზე ძვირფასი და ახლობელია. სულის სიღრმემდე მწამს, რომ ისინიც იგივე გრძნობით არიან გამსჭვალულნი.

ამასთან ერთად, ამა თუ იმ საკითხზე მე გამაჩნია გარკვეულად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომელთა მიჩქმალვას არასოდეს ვცდილვარ და ყოველთვის გულწრფელად გამოვთქვამ, თუმცა ამ თვალსაზრისის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ. თუ მას ვინმე არ იზიარებს, ჩემის აზრით ეს მას არ აძლევს უფლებას ბრალდება წამომიყენოს და მითუმეტეს დამასახელოს ამა თუ იმ ხალხის მტრად. ასე ხომ შეიძლება მართლაც იმ ჩვენი თანამემამულის მეთოდებამდე დავიდეთ, რომელსაც ცდილობენ მიმამსგავსონ გამოქვეყნებულ წერილში.

ახლა, რაც შეეხება „საქართველოში" გამოქვეყნებული წერილის არსებით მხარეს. იმასთან დაკავშირებით, რომ რედაქცია დაუფარავად იზიარებს წერილის ავტორის პოზიციას, თავს ნებას მივცემ საკუთარი აზრი მოგახსენოთ მისი ზოგიერთი დებულების გამო. მართლაც, არ შეიძლება პატივი არ მივაგოთ იმ ძალისხმევას, რითაც წერილში შერჩეულია ცალკეული მაგალითები და ფრაზები.

ჩემი აფხაზობა რომ სერიოზული ბრალდებისათვის არასაკმარისად მიიჩნიეს, წერილში აშკარად განზრახ შეიტანეს დაზუსტება ჩემი ვითომდა მუსულმანური წარმოშობის შესახებ. მართალია პრეტენზიას არ ვაცხადებ მაღალ მეცნიერულ განსწავლულობაზე, მაგრამ მაინც ვვარაუდობ, რომ მორწმუნეობისაგან განსხვავებით რელიგიური წარმოშობა თანამედროვე დემოგრაფიის უახლეს გაგებად აღიქმება. მე პატივს მივაგებ ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანებს, როგორც ამას ქართული ტრადიციები მოითხოვენ, მიუხედავად ამ ადამიანების რელიგიური მიკუთვნებისა, მე კი, როგორც სრულიად არარელიგიურ პიროვნებას, მწამს ადამიანის, მისი მაღალი ზნეობრივი პოტენციისა.

საყვედურის გამოთქმა სამსახურეობრივი იერარქიის საფეხურებზე სწრაფი ზესვლის გამო ჩემის აზრით, ცოტა საჩოთირო საქციელია და არ ამშვენებს პიროვნებას, რომელიც ამას სჩადის, რადგან ჩვეულებრივ განპირობებულია მხოლოდ ქვენა გრძნობებით. თანამდებობის მიღება არასოდეს მიცდია კულისმიღმა ძალების გამოყენებით, არასოდეს ვეკუთვნოდი და არ ვეკუთვნი რომელიმე კლანს ან დაჯგუფებას, არ მყოლია და არ მყავს ყოვლისშემძლე მფარველები, მინდა მჯეროდეს, რომ თუ იყო ჩემს სამსახურეობრივ წინსვლასთან დაკავშირებული რაიმე გადაწყვეტილებანი, მათ თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნდათ. პირადად მე ვცდილობ, ობიექტურად შევაფასო სხვათა წარმატებები, ხელი შევუწყო მათ წინსვლას. რაც შეეხება ბინების ფლობის საკითხს, მე მათ ვიღებდი დადგენილი რიგის მიხედვით იმ დაწესებულებებში, სადაც მუშაობა მომიწია.

მე შემიძლია გამოქვეყნებული წერილის სხვა პუნქტებსაც გადავწვდე, მაგრამ ყველა ისინი ფერმკრთალდებიან იმ უპრეცედენტო ბრალდებასთან შედარებით, რაც წამოყენებულია ჩემს მიმართ წერილის დასასრულს. რამდენად ზნეობრივია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ამგვარი მტკიცებების სრული უსუსურობისა და მცდარობის წინასწარი შეცნობით, ბრალი დასდო ადამიანს, თანამდებობის პირს მკვლელობის თანამონაწილეობაში? ხომ არ წარმოადგენს თვით ეს მეთოდი პიროვნების ყოვლად უზნეო პოლიტიკური მკვლელობის მცდელობას?

და ბოლოს. ბრალს მდებენ რა, საეჭვო კავშირების დამყარებაში, ზოგიერთი საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები და მათი ბეჭდვითი ორგანოები თვით უკავშირდებიან მართლაც საეჭვო რეპუტაციის მქონე ხალხს. აქვე მინდა შევახსენო ჩიქოვანს და მისნაირებს და წინადადება მივცე „საქართველოს" რედაქციას: იქნებ უფრო გამართლებული და აქტუალური იყოს ვისაუბროთ არა ქართული მილიციის კადრების კომპრომეტაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის და ისეთი პრინციპული პოლიტმუშაკების მხრიდან, როგორიცაა მაიორი იაკობაშვილი და ბევრი სხვაც, არამედ მწვავე ბრძოლაზე მექრთამეებთან, ხელმრუდეებთან, გამომძალველებთან, ადრე ნასამართლევ პირებთან, რომლებიც მილიციის ფორმას ამოფარებულნი მუშაობენ არა ხალხისათვის და სახელმწიფოსათვის, არამედ საკუთარი ანგარებითი ინტერესებისათვის, ხოლო მხილების შემდეგ დაჩაგრულის და შეურაცხყოფილის მოსასხამს მოირგებენ და „ილწვიან" გადაარჩინონ „მშობლიური" მილიცია და მასთან ერთად შავი ზღვის კურორტებზე ჩამოსული დამსვენებელი ქალები ანქვაბის უზნეო და ამორალური ზეგავლენისაგან.

ვაჯამებ რა ზემოთქმულს მინდა ხაზი გავუსვა მთავარს, დემოკრატიზაცია და საჯაროობა — პოზიტიური პროცესებია, რომელთაც ხელ-ფეხი გაუხსნეს ჩვენი საზოგადოების სოციალურ ინიციატივას. ყოველივე ამისათვის ღირს შრომა და ცხოვრება. მაგრამ თუ მავანს ერთი ტოტალიტალური იდეოლოგია სურს მეორეთი შეცვალოს, გამოიყენოს ახალი სახელები, გამოცვალოს არა პრინციპები, არამედ მხოლოდ ფირნიში, ასეთი პოზიცია ალბათ არ იმსახურებს ოდნავ მხარდაჭერასა და ყურადღებასაც კი. მას არავითარი ნათელი პერსპექტივა არ აქვს და შეუძლია მხოლოდ ახალი უბედურება მოუტანოს ხალხს. ერთადერთ მისაღებ პოზიციად დღევანდელ პირობებში მიმაჩნია პიროვნების ღირსებისა და სახელის პატივისცემა, ჰუმანიზმის, სიმართლისა და სიკეთის პრინციპების დაცვა!

პატივისცემით
**ალექსანდრე ანქვაბი**

(გაზეთი „საქართველო" № 5, 1989 წ.)

# КТО ЕСТЬ КТО

**В № 51 нашей газеты за прошлый год мы напечатали материал о бывшем сотруднике МВД ГССР В. Чикована. Перепечатывая статью «Так все-таки кто есть кто?» из органа Народного фронта Грузии «Сакартвело», мы обратили внимание на письма, поступившие в эту редакцию от сотрудников МВД Абхазской АССР Г. Кварацхелия, Г. Шенгелия, Т. Тибуа и бывшего начальника Ванского РОВД Р. Телия, которые описывают то, как с ними незаслуженно плохо обошлось руководство политического отдела МВД ГССР.**

**В связи с этим редакция вновь, как и по Чикована, воспользовалась материалами, которые есть в МВД Грузинской ССР.**

**Бывший начальник Ванского РОВД майор милиции Р. Телия.**

В 1981 году начальник Ванского РОВД, майор милиции Р. Телия был исключен из рядов КПСС и уволен из органов внутренних дел. Основанием для принятия таких мер послужили следующие обстоятельства.

В 1978 году к Телия, работавшему тогда зональным следователем МВД ГССР, поступили материалы о прекращении уголовного дела за отсутствием состава преступления в отношении Р. Папиашвили, жителя Ванского района, который с 1974 года обвинялся в хищении госимущества в особо крупных размерах и находился во всесоюзном розыске. Телия было поручено провести дополнительное изучение обоснованности прекращения дела. Однако, он не выполнил данное поручение и, составив справку, что оно прекращено обоснованно, отправил материалы в архив. Данные обстоятельства позволили в 1980 г. Папиашвили обратиться в ОВИР с заявлением о выезде в Израиль. Документы оформлялись в Ванском РОВД, где начальником к тому времени работал сам Телия. В итоге Папиашвили беспрепятственно выехал за границу и избежал уголовной ответственности.

Будучи уволенным из органов внутренних дел и исключенным из рядов КПСС Телия неоднократно ставил вопрос о восстановлении на работе и в партии.

В 1986 году Комитет партийного контроля при ЦК КПСС, рассмотрев заявление Телия, постановил: «...учитывая, что он свое безответственное отношение к служебным обязанностям в период работы в органах внутренних дел признает и осуждает, по работе на новом месте характеризуется положительно, восстановить т. Телия членом КПСС с октября 1975 года, с перерывом в партийном стаже с апреля 1981 года по октябрь 1986».

Что же касается восстановления в органах внутренних дел, ему неоднократно сообщалось мнение управления кадров, следственного управления и руководства министерства о том, что он уволен правильно, а для принятия другого решения нет оснований. Органы прокуратуры также считают его увольнение обоснованным.

**Старший лейтенант милиции Г. Кварацхелия — инспектор - дежурный медвытрезвителя Сухумского ГОВД.**

В июле 1987 года в УК МВД ГССР поступило заяв-

(Окончание на 3-й стр.).

(ОКОНЧАНИЕ)

ление, в котором отмечалось, что сотрудник ГАИ Абхазской АССР Гурам Кварацхелия был ранее судим. Проверкой, проведенной управлением кадров, было установлено, что действительно до поступления на службу в органы внутренних дел он был арестован и осужден нарсудом Очамчирского района за соучастие в похищении девушки. Выяснилось также, что сигналы о его судимости поступали и раньше, однако осуществлявший их проверку сотрудник отдела кадров, установив наличие судимости у Кварацхелия, без каких-либо оснований соответствующей оценки этому не дал и вопроса о реагировании не ставил.

После выяснения всех обстоятельств УК МВД ГССР посчитало необходимым уволить Кварацхелия из органов внутренних дел за сокрытие судимости при поступлении на службу в МВД.

При согласовании данного решения с политическим отделом МВД ГССР управлению кадров было рекомендовано учесть, во-первых, то, что данный факт был известен руководству МВД Абхазской АССР с 1973 года, во-вторых, признание Кварацхелия своей неискренности, допущенной при оформлении в МВД." Именно поэтому Кварацхелия был оставлен в органах внутренних дел, но переведен в другую службу.

**Капитан милиции Г. Шенгелия — старший инспектор по службе штаба ОСР ДПС ГАИ МВД Абхазской АССР.**

В 1987 году политическим отделом МВД ГССР при проверке обоснованности выдвижения сотрудника МРЭО ГАИ МВД Абхазской АССР капитана милиции Г. Шенгелия было установлено, что в органы внутренних дел он был принят необоснованно, с нарушением существующего порядка. После этого, составляя необъективные аттестации, его незаслуженно перемещали по службе.

Изучив все материалы и выявив лиц, покровительствующих Шенгелия, политический отдел МВД ГССР поставил вопрос только о нецелесообразности его дальнейшего пребывания в системе госавтоинспекции, хотя следовало принять решение об увольнении его из органов.. В последующем, с учетом признания Шенгелия своих ошибок, большого желания работать именно в службе ГАИ, ходатайства руководства отдела ГАИ МВД Абхазской АССР он выл вновь переведен в аппарат госавтоинспекции.

**Сержант милиции Д. Тибуа — милиционер приемника - распределителя для лиц, задержанных за бродяжничество и попрошайничество Сухумского ГОВД.**

В течение апреля 1987 года УГАИ МВД ГССР осуществлялась проверка несения службы инспекторами отдельной специализированной роты ДПС ГАИ МВД Абхазской АССР, в ходе которой были выявлены различные нарушения, в том числе и незаконный пропуск автомашин с сельхозпродуктами за пределы республики.

Рассмотрев заключение УГАИ, коллегия МВД Абхазской АССР 15 мая 1987 года приняла решение перевести 11 инспекторов ДПС в другие службы, 6-ти сотрудникам объявила различные взыскания, а младшего сержанта милиции Д. Тибуа за допущенные нарушения уволила из органов внутренних дел.

В связи с поступившей в политический отдел МВД ГССР жалобой, мотивы увольнения Тибуа были признаны недостаточными. По итогам проверки данной жалобы начальник политического отдела полковник милиции А. Анкваб направил письмо министру внутренних дел Абхазской АССР с требованием пересмотреть принятое в отношении Тибуа решение и восстановить его в органах внутренних дел. Это указание было выполнено.

* * *

Комментарии, как говорится, излишни. Но все же, что движет подобными сотрудниками милиции? Желание упорно наводить правопорядок, отстаивать интересы государства, трудящихся или же во что бы то ни стало, любыми способами обелить себя? На передний план у них выходят личные амбиции, «обиды» за то, что вдруг их посмели потревожить, посмели сказать о них правду. Ведь именно такие сотрудники все служебное время посвящают заботам о личных связях, знакомствах, чтобы в нуждый момент пустить это испытанное «оружие» в ход. И надо признать, что эти меры срабатывают, а подопечные получают награды, незаслуженные продвижения по службе.

Здесь есть над чем поразмыслить кадровым аппаратам МВД, УВД, политорганам, партийным организациям. Забота о чистоте милицейских рядов — мера не временная, не кампания, а каждодневная работа по отбору достойных кандидатов в органы внутренних дел, по воспитанию у них лучших качеств.

# დროით ნაკარნახევი ინიციატივა

(დასასრული)

რატიული ვითარებაა, ჩვენ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ჯგუფს, მიგვაჩნია, რომ არა გვაქვს მორალური უფლება განზე ვიდგეთ და მაყურებლის როლში გამოვიდეთ, გვსურს სწავლისაგან თავისუფალ დროს ვიყოთ ჩვენი მილიციის გვერდით და რითაც შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ მას.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას. ისინი დაინტერესებით და საქმიანად მოეკიდნენ ჩვენს მიერ წამოყენებულ წინადადებებს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ შოთა გორგოძის მხარდაჭერით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან, პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მივედით გადაწყვეტილებამდე: შეიქმნას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც სწავლისაგან თავისუფალ დროს მიმაგრებული იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროში, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში, თბილისის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში, სადაც საფუძვლიანად გავეცნობით შინაგან საქმეთა ორგანოების სტრუქტურას, მუშაობის მეთოდიკას, სტრატეგიას, ტაქტიკას. ასეთი გაცნობა ხელს შეგვიწყობს სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცებაში. ბევრი ჩვენთაგანი იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დარჩება შინაგან საქმეთა ორგანოებში. რაც ჩვენზე არის დამოკიდებული, შევეცდებით რეალურად განვახორციელოთ, მაგრამ მარტო ჩვენი ენთუზიაზმი ვერაფრის მაქნისი იქნება, თუ მხარს არ დაგვიჭერენ შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები და მუშაკები. რას გავაკეთებთ და მივაღწევთ ამას ცხოვრება გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი მიგვაჩნია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაც გვეთანხმება, რომ ეს მეტად საჭირო წამოწყებაა.

**ბესიკ მორჩილაძე.**
**დათო ჯიბლაშვილი.**

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ВОЗВРАЩАЯСЬ К НАПЕЧАТАННОМУ

**Вопросы, связанные с положением в общежитиях для сотрудников ОВД, не раз рассматривались на совещаниях политического отдела МВД ГССР. Однако политработники, руководители, партийные и комсомольские организации недостаточно интересуются данным вопросом, глубоко не вникают в санитарные и бытовые условия общежитий, организацию свободного от службы времени проживающих сотрудников. Не предпринимаются меры по своевременному ремонту и оборудованию подсобных помещений, санитарных узлов.**

# А ПОРЯДКА В ОБЩЕЖИТИЯХ ВСЕ НЕТ...

**ВСЕ** эти серьезные недостатки в организации быта и отдыха сотрудников, проживающих в общежитиях, отрицательно влияют на дисциплину, снижают эффективность несения службы.

Вопросы состояния дел в общежитиях периодически рассматривались на оперативных совещаниях подразделений, к которым они относятся. Это позволило как будто бы добиться определенного улучшения, но в то же время в ходе предновогоднего рейда, организованного редакцией нашей газеты, было выявлено много недостатков.

Так, в общежитии подразделения по охране сооружений Тбилводопровода в жилых помещениях наведен порядок, но в отдельных комнатах одежда сотрудников висит на стульях, так как нехватает шкафов. Не отремонтирована кухня, и сотрудники вынуждены питаться в столовой. Не созданы условия для нормального досуга и учебы проживающих. В общежитии подразделения по охране гособъектов уже более полгода никак не начнут ремонт комнат и санузлов.



В общежитии подразделения патрульно - постовой службы практически отсутствует отопление, здание находится в аварийном состоянии. Капитальный ремонт не делают, так как обещали перевести в новое помещение. Зимой комнаты обогреваются самодельными электроприборами, что может вызвать пожар.

Для всех общежитий характерным является большое число прописанных лиц, о многих из которых нет никаких данных, неизвестно даже, являются ли они в данный момент сотрудниками органов внутренних дел.

Руководителям подразделений, где имеются общежития, надо изучить правомерность прописки в общежитиях, принять меры по выписке тех, кто уже не работает в органах.

Периодически проводить субботники по уборке и мелкому ремонту помещений и инвентаря. Своевременно ставить перед соответствующими службами вопросы о капитальном ремонте общежитий, оборудованию душевых, санитарных узлов, столовых, отопительных систем и т. д., чтобы быт и отдых сотрудников, проживающих в общежитиях, отрицательно не влиял на дисциплину и не снижал эффективность несения службы.

**А. МАЛАЯНЦ.**

* * *

**НА СНИМКЕ: так выглядит общежитие ППС УВД Тбилгорисполкома.**

პოზიცია

# ინსპექტორმა თანამდებობა შეიცვალა

**ექვსი** წელიწადი იმუშავა ფოთის 29-ე დამოუკიდებელ გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკის ინსპექტორის თანამდებობაზე შ/ს უფ. ლეიტენანტმა ა. რიჟამაძემ. პარალელურად იყო და ახლაც არის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი. ამ ხნის მანძილზე ბევრი მადლობა და ფულადი ჯილდოც არაერთხელ მიუღია, მაგრამ მაღალ თანამდებობას დაბალი არჩია და პირადი თხოვნით ყარაულის უფროსად იქნა გადაყვანილი.

— სახანძრო პროფილაქტიკის ინსპექტორობა ჩემი საქმე არასდროს არ იყო, — თქვა მან და განაგრძო, — მართალია საყვედური არასდროს მიმიღია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ მე ინსპექტორის თანამდებობას მორგებული ვიყავი და რიგიანად ვასრულებდი მოვალეობას.

აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, ავთანდილ! შენისთანები ცოტანი არიან, რომლებსაც ძალუძთ საკუთარი უნარის შეფასება და თანამდებობასაც შესაბამისად ირჩევენ. მაგრამ ვაი იმათ, ვისაც საკუთარი უნარი და შესაძლებლობა ვერ შეუფასებია, ისე მოკალათებულა გარკვეულ თანამდებობაზე. აბა გავიხედოთ ჩვენს გარშემო, რამდენია ისეთები, რომლებიც დაკავებულ თანამდებობას არ შეესაბამებიან, მაგრამ ნებით არ თმობენ, გამბედაობა და ვაჟკაცობა არ ყოფნით. გამკითხავიც არავინაა.

პირველი შეცდომა ისაა, როდესაც კადრების სწორად შერჩევის საქმეში პრინციპულობას ვერ ვიჩენთ, მეორე შეცდომა ისაა, როდესაც ამა თუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობაში, უნარსა და მომზადებაში არ ვიხედებით. ზოგადი შენიშვნებითა და ხმამაღალი შეძახილებით ვიფარგლებით, კონკრეტულ გადამჭრელ ზომებს კი არ ვღებულობთ. ყოველივე ამას კი შეუმჩნევლად მოაქვს ზიანი კოლექტივის საერთო წარმატებაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხს. ღრმად ჩავიხედოთ თითოეული თანამდებობის პირთა შემოქმედებაში.

**ლ. ჭოჭუა.**

სწრაფად, ოპერატიულად

# გატაცებული ავტომანქანა, ნარკოტიკები და მკვლელობა

**...ღლის** ორი საათი ხდებოდა, როცა ნ. ე. შეწუხებული სახით მივიდა თავის კარის მეზობელთან, მის დედას სთხოვა: „თქვენი ჭირიმე, თავს უბედურება დამატყდა, ბავშვს კრუნჩხვები დაეწყო და სასწრაფოდ მანქანა უნდა მათხოვო ბავშვის საავადმყოფოში მისაყვანადო". ქალი სახლში შებრუნდა შვილის დასაძახებლად. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან რომ გამოვიდნენ მანქანა ეზოში აღარ იდგა...

ისარგებლა რა, რომ მანქანაში გასაღები იყო დატოვებული ნ. ე-მ გააღო კარი, დაქოქა მანქანა და ეზოდან გამოიყვანა. გაუარა თავის მეზობლებს ა. ე-ს და ი. ხ-ს და ბოლნისისაკენ დაიძრნენ. მეზობლებმა ბოლნისში მოინახულეს მათი ძველი მეგობარი, ნარკოტიკების გასაღებისათვის და მიღებისათვის ადრე რამოდენიმეჯერ ნასამართლევი დ. მ. და გაემგზავრნენ სოფელ ფირხელოში. მიზანი მათი მოგზაურობისა ერთი იყო — შეეძინათ ნარკოტიკული ნივთიერებანი. სოფელში შესვლისას მანქანა ამ სოფლის მკვიდრის ხ. ნ-ს სახლთან შეჩერდა. გაიგო რა ბიჭების ჩამოსვლის მიზანი მასპინძელმა ბინიდან გამოიტანა დიდ პარკში გახვეული ნარკოტიკული ნივთიერება და დაიწყო ჩაის ჭიქებით მისი „გადაწონვა" ჩამოსულების პარკში. ამ დროს მეგობრებს მოუვიდათ კამათი — „შენ წონაში მომატყუეო, არა შენ იმდენ გასამრჯელოს არ მაძლევო" და ამ ლაპარაკის დროს დაიწყო ჩხუბი. მოულოდნელად ი. ე.-მ ჯიბიდან ამოიღო პისტოლეტი და ერთი გასროლით მოკლა ა. ხ. ბოროტმოქმედები მიიმალნენ. კვალი არსად არ ჩანდა. ამავე დღის 16 საათსა და 30 წუთზე ეს ამბავი ტელეფონით შეატყობინეს ბოლნისის შს რაიგანყოფილებას. განყოფილების უფროსის, მილიციის მაიორის ლ. დავლიანიძის უშუალო მონაწილეობით სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თ. გეთიაშვილი, ჯგუფში შევიდნენ უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ფოლადაშვილი, ოპერრწმუნებულები, მილიციის უფროსი ლეიტენანტი კ. ალიხანიანი, ლეიტენანტები გ. კაპანაძე, გ. კვანტალიანი, რ. ვასაძე, რ. კოდელაშვილი, ვ. ლონდარიძე, უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი გ. თანდილაშვილი, უბნის ინსპექტორები, უფროსი ლეიტენანტები რ. ბახტიაროვი და რ. მუსაევი.

სულ მოკლე ხანში უშუალოდ თ. გეთიაშვილის მიერ აყვანილი იქნა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი დ. მ. მალე სხვებიც დააკავეს. გატაცებული ავტომანქანიდან ამოღებული იქნა ის იარაღი, რომლითაც მოხდა მკვლელობა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

**გ. მგალობლიშვილი.**

* * *

**სურათზე:** ოპერატიული ჯგუფის წევრები თ. გეთიაშვილი და კ. ალიხანიანი.

ავტორის ფოტო.



# НОВОГОДНИЕ УСПЕХИ ДИНАМОВЦЕВ

**РАДОСТНАЯ** весть пришла из подмосковного города Рыбинска, где завершилось абсолютное первенство страны по борьбе самбо. 28-летний динамовец Малхаз Беруашвили к титулу абсолютного чемпиона Грузии прибавил и титул абсолютного чемпиона СССР по борьбе самбо. В соревнованиях участвовали 20 лучших атлетов нашей страны, которые разыграли по круговой системе десять путевок, разбитые в пяти подгруппах. Затем десять лучших вновь по круговой системе разыграли награды. Малхаз восемь раз выходил на ковер и убедительно побеждал. А в финальном поединке он со счетом 9:0 одержал победу над 130-килограммовым хозяином ковра А. Колмаковым.

В этих соревнованиях вместе с М. Беруашвили участвовал и другой грузинский атлет — 22-летний Коба Купатадзе, который был удостоен бронзовой награды.

**В ТБИЛИСИ** одновременно на двух крытых кортах: Грузсовета «Динамо» и Дворца тенниса, проходил зимний юношеский чемпионат Тбилиси. Участвовали теннисисты 1974 года рождения и моложе. На динамовских кортах, где призы оспаривали 24 сильнейшие теннисистки города, успешно выступила хозяйка кортов — представительница теннисного клуба «Раши» Грузсовета «Динамо» Анна Гаспарян, которая в финале победила Т. Беридзе («Мартве») и стала чемпионкой зимнего чемпионата г. Тбилиси. Бронза также у юной динамовки Маки Цицуашвили.

Среди 32 юных теннисистов, которые соревновались во Дворце тенниса, успех опять пал на воспитанника клуба «Раши» Грузсовета «Динамо» Дато Гогилашвили, который несмотря на свой юный возраст (ему 13 лет) в финале легко обыграл сильного и титулованного соперника Георгия Ткемаладзе («Мартве») и впервые стал победителем зимнего чемпионата г. Тбилиси. Автор сенсации — сын известной в прошлом грузинской теннисистки, ныне тренера, Рены Абхандадзе.

Что же, пожелаем юным теннисистам из клуба «Раши» достичь высоких результатов в 1990 году.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

• • •

**НА СНИМКЕ:** М. Беруашвили.



ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ვერაფერი გავიგე. ველოდე კიდევ ერთი კვირა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი გურამი აღარ დაბრუნებულა. ამის შემდეგ რატომღაც ჭირივით შემძაგრდა ის ქუჩა და სახლი, სადაც ორ წელიწადს ბედნიერად ვცხოვრობდი დიდიკოსთან და გურამისთან ერთად, თუმცა ამის საფუძველი ჩემთვის არავის მოუცია. გადავუხადე ოჯახის უფროსს ბინის დარჩენილი ქირის საფასური და ამის შემდეგ ამ ოჯახში გადმოვედი საცხოვრებლად. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოსვლოდა გურამს?

— ეგ მეც არ ვიცი, მაგრამ იმედია, რომ გავარკვევთ. შენ და გურამი რატომ არ ჩამოხვედით დიდიკოს დასაფლავებაზე?

— დიდიკოს ცხედრის გადასვენების დროს დავით დიხამინჯიამ მითხრა: — უკეთესი იქნება, თუ შენ და გურამი არ დაესწრებით დიდიკოს დაფასად სხვა, შენთვის უცნობ ადამიანს მიანიჭო ბედნიერება.

გვიან საღამოს ალექსანდრე ოდნავ აღელვებული უყვებოდა ოთარს.

— გუშინ საღამოს გვიან დავბრუნდი ფოთიდან. ჭიშკარი, რომ შევაღე და მანქანა დავაყენე სადგომში, სიმართლე გითხრათ ძალიან გამიკვირდა, რომ ჩემი მურა არსად ჩანდა. სხვა დროს ყოველთვის შემომეგებებოდა ხოლმე, ახლა კი არსად ჩანდა. ცუდად მენიშნა, იარაღი მოვიმარჯვე და კიბეზე ავირბინე. მისაღები ოთახი ფრთხილად ორპირმა ქარმა მაშინვე მიმახვედრა, რომ თქვენი ოთახის სარკმელი ღია იყო. სინათლე ავანთე, თქვენი საწერი მაგიდის უჯრა გამოწეული დამხვდა. ვიფიქრე აქ ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმარი ყოფილა —

**გ. თოფურია**

## განსხვავებული ცრემლები

კრძალვასო. როგორც დავასკვენით ორივეს გვემდუროდნენ.

— მე დღესვე უნდა გადავფრინდე უკან საქართველოში. ვფიქრობ ნათელი შევიტანო ამ საქმეში. ისე ნუ შეგეშინდება, მაგრამ ძალიან ფრთხილად იყავი, რაღაცა არ მომწონს ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში იქამდე მაინც, სანამ რაიმე გაირკვეოდეს კონკრეტულად. აბა შენ იცი ასლან, ნახვამდის!

— ნახვამდის ამხანაგო მაიორო! — მიუგო ასლანმა, ხელი ჩამოართვა და ისინი გაშორდნენ ერთმანეთს.

მთელი მგზავრობის მანძილზე, თვითმფრინავშიც კი, რაღაც დაძაბული გონებით ფიქრობდა მაიორი. უბის წიგნში რაღაც ციფრებს, სხვებისათვის გაუგებარ ასოებსა და ნიშნებს წერდა. მერე კვლავ ფიქრები გაიტაცებდნენ. — „რა კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა“ — ფიქრობდა ის ასლანზე. ალბათ გავა რამოდენიმე წელიც და ჩვენს რესპუბლიკას ერთი კარგი სპეციალისტი შეემატება. ასლანის სპეციალობის გახსენებამ თავისი ახალგაზრდული ოცნებაც გაახსენა. ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ოცნებობდა ოთარი, რომ ექიმი გამოსულიყო და თანაც ქირურგი. ეს, ალბათ, მამამისის პროფესიის გავლენით თუ იყო გამოწვეული. ოთარის მამა მიხეილი, ხომ ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურა უმწიკვლოდ თავის ხალხსა და სამშობლოს ქირურგის პროფესიით, საბჭოთა კავშირის დამსახურებული ქირურგის წოდებით წავიდა მიხეილი ამ ქვეყნიდან და რა გასაკვირია, რომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ქირურგის პროფესიაზე ოცნებობდა, მართალია მისი ოცნება ოცნებადვე დარჩა, მაგრამ სინანულით ერთხელაც არ უნანია ოთარს და ახლა ჩეკისტის პროფესიის გარეშე სიცოცხლეც კი ვერ წარმოუდგენია.

არა მგონია რომ ამ ქვეყანაზე არსებობდეს ჩეკისტის პროფესიაზე უფრო საპატიო პროფესია. რა უნდა იყოს იმაზე ამაღლებული გრძნობა და მოვალეობა, რომ შენი საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების მეთქი. ერთ წუთში ეზოში გავჩნდი. შემოვურბინე სახლს გაღებული სარკმელის მხრიდან და ფარნის შუქზე მოვათვალიერე იქაურობა, მაგრამ იქ არავინ ჩანდა. ახლა მეორე მხრიდან შემოვუარე სახლს, არც იქ არავინ ჩანდა. პატარა ჭიშკრის მარცხენა მხარეს რაღაც შავი საგანი შევნიშნე. ახლოს მივედი და დავაკვირდი, ეს ჩემი საცოდავი ძაღლი მურა იყო. პირიდან ჯერ კიდევ ქაფი გადმოსდიოდა, მივხვდი რომ მოეწამლათ. თქვენს ოთახში დავბრუნდი და ყველაფერი დაკვირვებით დავათვალიერე, იმ იმედით, რომ ეგება რაიმე სამხილი მენახა, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. მაგიდა და სარკმლის ჩარჩოები დიდხანს ვათვალიერე გამადიდებელი შუშით, მაგრამ აქაც ხელი მომეცარა. როგორც შემდგომში დავასკვენი დაუპატიჟებელ სტუმარს გამოცდილება არ აკლდა. კვალი, რომ არ დაეტოვა, როგორც ეტყობა ფეხებზე ნაბდები ჰქონდა ამოკრული და ხელთათმანებით მუშაობდა.

— მაშასადამე, ვიღაცა დაინტერესებულია ჩემი მოღვაწეობით და მითვალთვალებს, — დაასკვნა ოთარმა.

— ნამდვილად — დაუდასტურა ალექსანდრემ.

— შენი აზრით რას ეძებდა ის უცნობი? — უცებ შეეკითხა ალექსანდრეს.

— საბუთებს, რომლებიც...

— რომლებიც მისთვის დიდ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს არა?

— შეაწყვეტინა ოთარმა სიტყვა ალექსანდრეს.

— უთუოდ.

— ეს საინტერესოა... რაიმეს მოვიფიქრებ. ეხლა კი დავიძინოთ ჩემო ალექსანდრე.

— როგორც გენებოთ.

— ხო მართლა... ხვალ სათევზაოდ ხომ არ წავიდეთ სადმე? — კითხვა დაადევნა ოთარმა.

— დიდი სიამოვნებით. მდინარე ნოღელავში ვითევზაოთ. იქ ერთი კარგი ადგილია. კარგი თევზი იცის.

— შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

●

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-1 (1990).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# ВНИМАНИЕ—КОНКУРС

**МИНИСТЕРСТВО** внутренних дел Грузинской ССР объявляет ежегодный конкурс городских, районных и многотиражных газет на лучшее освещение вопросов укрепления правопорядка и деятельности органов внутренних дел.

**ЗАДАЧИ КОНКУРСА.** Полное и всестороннее освещение деятельности органов внутренних дел и общественных организаций по укреплению законности и правопорядка, формированию правовой сознательности граждан, работы милиции в трудовых коллективах и по месту жительства, показ опыта лучших сотрудников по выполнению постановлений партии и правительства в деле усиления борьбы с пьянством и алкоголизмом, нетрудовыми доходами, наркоманией и др. Регулярный выпуск по этим проблемам тематических полос, подборок, публикаций отдельных статей и корреспонденций.

Введение рубрик, всесторонне отражающих жизнь и деятельность сотрудников милиции, их готовность к защите интересов государства и граждан от преступных посягательств, работу, связанную с повышением профессионального мастерства, физической подготовки, искоренением причин правонарушений. Пропаганда истории милиции своего города, района, ее традиций, показ семейных династий, их преемственности.

Содействие в увековечении памяти сотрудников, погибших при исполнении служебного долга.

Привлечение внимания общественности к проблемам охраны правопорядка и борьбы с преступностью, показ работы общественных пунктов охраны порядка, отдельных общественников по искоренению правонарушений. Организация шефских встреч работников милиции и редакций газет, проведение взаимных консультаций для определения наиболее актуальных проблем с целью освещения их в печати.

В конкурсе принимают участие редакции городских, районных и многотиражных газет, отдельные журналисты, корреспонденты, пишущие на правоохранительную тему.

**ОРГАНИЗАЦИЯ И ПРОВЕДЕНИЕ КОНКУРСА.** Конкурс проводится ежегодно с января по октябрь. Для проведения конкурса на местах создаются комиссии из числа руководителей горрайорганов, представителей органов печати и местных организаций Союза журналистов.

Материалы на конкурс представляются комиссиями в пресс-группу политического отдела МВД Грузинской ССР не позднее октября и включают в себя соответствующие представления с указанием произведений, краткой аннотацией, сведения об авторах, работы которых выдвинуты для участия в конкурсе, а также сами произведения.

Победителями конкурса будут признаны коллективы редакций, отдельные авторы, которые систематически и целенаправленно показывают работу милиции, способствуют повышению ее авторитета, как органа государственной власти, регулярно информируют общественность о состоянии правопорядка, мобилизуют трудящихся на выявление и устранение причин и условий, порождающих правонарушения, ярко и доходчиво разъясняют советское законодательство.

Решение об итогах конкурса будет приниматься специальной комиссией МВД ГССР ежегодно ко Дню советской милиции — 10 ноября.

Для победителей конкурса будут учреждены почетные дипломы.

**ПРЕСС - ГРУППА ПОЛИТИЧЕСКОГО ОТДЕЛА МВД ГРУЗИНСКОЙ ССР.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### ПРИЯТНОГО АППЕТИТА!

**СВЫШЕ килограмма наркотических веществ нашли на днях сотрудники гонконгской таможни в... желудке одного из пассажиров, прибывших рейсовым самолетом из столицы Непала г. Катманду.**

**Во время досмотра подозрение таможников привлек 26-летний непалец. Он выглядел очень усталым, подавленным, вяло и неохотно отвечал на простые вопросы. Странного пассажира направили на медицинское обследование в ближайшую больницу. Рентгеновский снимок отчетливо показал наличие в желудке «больного» большого количества посторонних предметов. В результате несложной операции из чрева контрабандиста было извлечено около 200 капсул с наркотиками на сумму более 15 тыс. долларов США.**

## ცხადდება ფოტოკონკურსი

**გაზეთი** „მებრძოლი გუშაგი“ აცხადებს ფოტოკონკურსს. მასში მონაწილეობა შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, პრესაში მომუშავე პროფესიონალ ფოტორეპორტიორებს, ფოტომოყვარულებს.

რედაქციაში გამოგზავნილ ფოტოებზე მხატვრულად უნდა აისახოს მილიციისა და სახანძრო დაცვის მუშაკთა ყოველდღიური საქმიანობა, მათი კონტაქტი მოსახლეობასთან, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ხედები, ობიექტივის მიერ დაჭერილი საინტერესო მომენტები.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია: პირველი — 100 მანეთი, მეორე — 70 მანეთი, მესამე — 50 მანეთი.

ფოტოები (13Х18) გამოგზავნეთ 1 დეკემბრამდე, მისამართით: თბილისი, 380064 გოგოლის ქ. № 23.



როგორი იქნება „ერთი ხაზდრის ძალა“ ცხენის წელს?

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.

ინდექსი 36639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემ ლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00105